ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1850242

ნომერი: AR1298895

თარიღი : 16.04.2015

გაცემის თარიღი : 21.04.2015

გაცნობის თარიღი : 21.04.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქ.წამებული , /ბოჭორმის ქ. N50/18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ გეგეშიძე პ/ნ 01008042950
- ტ.ტაბიძის 28

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ:

1. უნარშეზღუდულ პირთა სამოძრაოდ პანდუსის დახრის პროცენტულობა არ უნდა აღემატებოდეს 6 % (2014 წ. 04 იანვარი #41 დადგენილება – თავი II – მუხლი 3.). იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება ნორმების დაცვა, მაშინ წარმოადგინეთ უნარშეზღუდულთ პირთათვის პანდუსის მოწყობის სხვა ალტერნატიული ადგილი, შესაბამისად დაკორექტირდეს ფოტომონტაჟი და განახლებული ფოტომონტაჟი აიტვირთოს "ფოტომონტაჟი"–ს ველში;
2. გაითვალისწინეთ: "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"–ს და "ფოტომონტაჟი"–ს ველებში ატვირთულ იქნას ერთი და იგივე რაკურსიდან გადაღებული და დამუშავებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი და ფოტომონტაჟი;
3. მეტი თვალსაჩინოებისათვის წარმოადგინეთ საკადასტრო გეგმა საპროექტო ადგილის მონიშვნით, რომელიც შეგიძლიათ ატვირთოთ "ფაილის მიმაგრების" ველში. აქვე გაითვალისწინეთ: იმ შთხვევაში თუ საპროექტო პანდუსი მოეწყობა საკადასტრო საზღვრებში, მაშინ წარმოსადგენი იქნება ამხანაგობის კრების ოქმი, რაც უნდა აიტვირთოს "საჭიროების შემთხვევაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2/3 თანხმობის" ველში (ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ მოწვეული კრების შედეგად შედგენილი) ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით კრების დამსწრე წევრების რაოდენობის მითითებით. `ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3 (67%) და ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. შესაბამისად წარმოსადგენია ოქმი, რომლის თანახმად კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა 2/3 და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი (გიგზავნით კრების ოქმის ნიმუშს, იხ. დანართი 1).

ხოლო იმ შემთხვევაში თუ პანდუსი მოეწყობა საკადასტრო საზღვრის გარეთ თვითმმართველი ერთეულის მიწის ნაკვეთზე, მაშინ წარმოსადგენი იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ "ქონების მართვის სააგენტო"–ს თანხმობა პანდუსის მოწყობაზე, რომელიც შეგიძლიათ ატვირთოთ "დამატებითი დოკუმენტაციის" ველში;
4. გაურკვეველია თქვენი უფლებამოსილების საკითხი. გაითვალისწინეთ: არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა მინდობილმა პირმა (მინდონილობა ატვირთული უნდა იყოს წარმომადგენლის მინდობილობა/რწმუნებულების ველში).

აქვე გათვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.